

383

1941



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები



№ 1-3 (11-13)

ი ვ ლ ი ს ი

1941 წ.

488

მ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

(გვ. 3—19)

3865

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-13, 19, 50, 55, 56 და 107 მუხლების ცვლილებისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის შეცვლისა და XXVI თავის მე-3 კარის (მუხ. 366—371) გაუქმების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის ცვლილების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისრების დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მ. ი. ჯაშის დანიშვნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

ამხ. მ. ი. ჯაშის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.


ამხ. ი. ვ. ტიულუქვევის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

ამხ. ვ. დ. ბუჯაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

ამხ. ა. ი. ჯანელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

ამხ. ი. თ. მოსაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ზოგიერთი წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.





საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ.
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულების დამატებით არჩევის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი
(გვ. 20—54)

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის 26 კომისიის № 121 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ.

ამხ. გ. ნ. ზამბაზიძის საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ 20 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო მე-4 სესიის მოწვევის შესახებ.

საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მოწინავე მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების გასული დეპუტატების ნაცვლად დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების გასული დეპუტატების ნაცვლად დეპუტატების არჩევნების საარჩევნო კამპანიის ვადების შესახებ.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გაყოფის შესახებ.

ამხ. ა. ნ. რაფაგას საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

ამხ. გ. ა. ქაჭუჩაიას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მოწვევის შესახებ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის შეცვლის შესახებ.

ქალაქ თბილისის პიონერთა და ოქტომბრელთა სასახლისათვის ამხანაგ ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

ამხ. კ. ა. ბერიშვილის საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ.

აფხაზეთის ასრ ოჩამჩირის რაიონის ჩხორტოლის სასოფლო საბჭოს გალის რაიონზე მიკუთვნების შესახებ.

ინგილის ჩაის საბჭოთა მეურნეობისათვის ამხ. ლ. პ. ბერიას სახელის მიკუთვნების შესახებ.

ქ. თბილისის 72 საშუალო სკოლისათვის სომეხი პოეტის ავეტიქ ისააკიანის სახელის მიკუთვნების შესახებ.

საინფორმაციო ცნობები
(გვ. 55—82)

საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მუშაობის შესახებ.

აფხაზეთის ასრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მუშაობის შესახებ.

აჭარის ასრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიათა შესახებ.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები

(პირველი მოწვევის მესამე სესია)

კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1941 წლის
სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
ადგენს.

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ
წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, საქარ-
თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის მოხსენების თანახმად
მიღებული ცვლილებებით, შემოსავლის ნაწილში 1.233.760 ათასი მანეთის
რაოდენობით და გასავლის ნაწილში 1.233.760 ათასი მანეთის რაოდენობით
და, გარდა ამისა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ანგარიშზე რიცხული
1942 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების
სახსრების ნაშთით 23.168 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. ამ კანონის 1 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს სსრ
1941 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავალი და გასავალი: შემოსავალი
1.014.165 ათასი მანეთის რაოდენობით, გასავალი 491.214 ათასი მანეთის რაო-
დენობით და ანარიცხები საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ას
რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ადგილობ-
რივი ბიუჯეტების გასაძლიერებლად 522.951 ათასი მანეთის რაოდენობით და,
გარდა ამისა, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ანგარიშზე რიცხული 1942
წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთი 12.089 ათასი მანეთის
რაოდენობით.

3. დამტკიცდეს ავტონომიური სს რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის,
რაიონებისა და ქალაქების 1941 წლის ბიუჯეტები შემდეგი რაოდენობით (ათას
მანეთობით):

	შემოსავალი	გასავალი
აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სო- ციალისტური რესპუბლიკა	24.006,6	78.887,8
აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოცია- ლისტური რესპუბლიკა	27.694,9	57.941,5
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი .	3.041,7	32.557,7
ქალ. თბილისი	85.691,5	171.158,0
ქალ. ქუთაისი	10.833,2	25.749,1
ქალ. ფოთი	2.260,5	10.308,2



ქალ. კიათურა	შემოსავალი	გასავალი
აბაშის რაიონი	2.364,9	5.605,0
აღიგენის	2.283,7	5.857,3
ამბროლაურის	863,7	5.750,4
ასპინძის	2.009,4	7.272,6
ახალქალაქის	795,6	4.983,6
ახალციხის	1.544,3	9.546,0
ბაშკიჩეთის	2.794,1	10.020,3
ბოგდანოვკის	501,3	5.081,6
ბორჩალოს	381,9	4.973,2
ბორჯომის	1.155,1	6.816,2
გემეტკორის	2.086,0	7.516,0
გორის	867,6	6.909,9
გურჯაანის	2.934,2	14.338,4
ღუშეთის	2.272,2	8.612,3
ვანის	1.300,7	7.869,7
ზემო-სვანეთის	609,0	5.281,2
ზესტაფონის	613,5	4.497,1
ზუგდიდის	2.844,1	9.740,4
თბილისის	2.977,2	11.951,5
თეთრი წყაროს	1.667,5	7.381,1
თელავის	1.543,3	6.731,8
თიანეთის	3.496,5	13.188,9
კასპის	473,4	3.213,1
ლაგოდეხის	741,2	6.820,9
ლანჩხუთის	950,8	6.988,9
ლუქსემბურგის	1.855,3	7.095,7
მაიაკოვსკის	1.404,6	5.583,4
მახარაძის	586,5	4.695,8
მცხეთის	2.101,6	12.581,5
ონის	1.305,6	5.427,8
ორჯონიკიძის	760,8	6.257,1
საგარეჯოს	1.408,7	6.074,7
სამტრედიის	1.199,1	5.304,7
საჩხერის	1.943,2	8.398,2
სიღნაღის	655,3	5.977,4
ტყიბულის	2.517,7	8.382,1
ქარელის	938,8	5.560,1
ქვემო-სვანეთის	807,0	5.152,6
	582,4	3.130,0



ქუთაისის რაიონი	შემოსავალი	გასავალი
ყაზბეგის "	827,4	4.744,8
ყარაიის "	571,5	2.870,9
ყვარლის "	1.004,4	3.043,8
ჩოხატაურის "	821,3	4.973,2
ჩხარის "	1.124,0	6.333,4
ჩხოროწყუს "	1.182,5	4.471,1
ცაგერის "	773,2	4.543,8
ცხაკაიას "	900,2	5.436,3
წალენჯიხის "	2.722,0	9.252,6
წალკის "	623,4	4.432,0
წითელწყაროს "	1.227,6	6.454,1
წულუკიძის "	952,6	4.516,1
წყალტუბოს "	1.286,8	6.359,5
ჭიათურის "	1.799,2	4.258,0
ხაშურის "	389,7	4.367,0
ხობის "	2.198,0	8.905,5
	604,0	4.413,1
სულ	230.674,0	742.546,0

4. დაწესდეს ავტონომიური სს რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების სახსრების ნაშთები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ანგარიშზე 1942 წლის 1 იანვრისათვის შემდეგი რაოდენობით: აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში—1.167 ათასი მანეთი, აჭარის ასს რესპუბლიკაში—865 ათასი მანეთი, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—485 ათასი მანეთი, ქალაქ თბილისში—2.568 ათასი მანეთი, ქალ. ქუთაისში—376 ათასი მანეთი, ქალ. ფოთში—152 ათასი მანეთი, ქალ. ჭიათურაში—85 ათასი მანეთი, აბაშის რაიონში—87 ათასი მანეთი, ადიგენის—90 ათასი მანეთი, ამბროლაურის 110 ათასი მანეთი, ასპინძის—80 ათასი მანეთი, ახალქალაქის—140 ათასი მანეთი, ახალციხის—150 ათასი მანეთი, ბაშკიჩეთის—76 ათასი მანეთი, ბოგდანოვკის—75 ათასი მანეთი, ბორჩალოს—101 ათასი მანეთი, ბორჯომის—111 ათასი მანეთი, გეგეჭკორის—105 ათასი მანეთი, გორის—210 ათასი მანეთი, გურჯაანის—128 ათასი მანეთი, დუშეთის—120 ათასი მანეთი, ვანის—80 ათასი მანეთი. ზემო-სვანეთის—70 ათასი მანეთი, ზესტაფონის—145 ათასი მანეთი, ზუგდიდის—180 ათასი მანეთი, თბილისის—110 ათასი, თეთრი წყაროს—100 ათასი მანეთი, თელავის—195 ათასი მანეთი, თიანეთის—47 ათასი მანეთი, კასპის—105 ათასი მანეთი, ლაგოდეხის—104 ათასი მანეთი, ლანჩხუთის—103 ათასი მანეთი, ლუქსემბურგის—82 ათასი მანეთი, მაიაკოვსკის—70 ათასი მანეთი, მახარაძის—185 ათასი მანეთი, მცხეთის—80 ათასი მანეთი, ონის—94 ათასი მანეთი, ორჯონიკიძის—90 ათასი მანეთი, საგარეჯოს—80 ათასი მანეთი, სამტრედიის 125 ათასი მანეთი, საჩხერის—90 ათასი მანეთი,



სიღნაღის—125 ათასი მანეთი, ტყიბულის—85 ათასი მანეთი, ქარელის—76 ათასი მანეთი, ქვემო-სვანეთის—50 ათასი მანეთი, ქუთაისის—70 ათასი მანეთი, ყაზბეგის—43 ათასი მანეთი, ყარაის—45 ათასი მანეთი, ყვარლის—73 ათასი მანეთი, ჩოხატაურის—95 ათასი მანეთი, ჩხარის—68 ათასი მანეთი. ჩხოროწყუს—70 ათასი მანეთი, ცაგერის—80 ათასი მანეთი, ცხაკაიას—133 ათასი მანეთი, წალენჯიხის—65 ათასი მანეთი, წალკის—90 ათასი მანეთი, წითელწყაროს—67 ათასი მანეთი, წულუკიძის—96 ათასი მანეთი, წყალტუბოს—65 ათასი მანეთი, ჭიათურის—66 ათასი მანეთი, ხაშურის—130 ათასი მანეთი, ხობის—66 ათასი მანეთი, ხოლო სულ საქართველოს სსრ ადგილობრივი ბიუჯეტებით—11.079 ათასი მანეთი.

5. დამტკიცდეს 1941 წლისათვის სახელმწიფო გადასახადებისა და სახელმწიფო შემოსავლის ანარიცხები რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ავტონომიურის რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტების გასაძლიერებლად შემდეგი თანხების რაოდენობით:

(ათას მანეთობით)

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის	56.048,2
აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის	31.111,6
სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის	30.001,0
ქალ. თბილისის	88.034,5
ქალ. ქუთაისის	15.291,9
ქალ. ფოთის	8.199,7
ქალ. ჭიათურის	3.325,1
აბაშის რაიონი	3.660,6
ადიგენის "	4.976,7
ამბროლაურის "	5.373,2
ასპინძის "	4.268,0
ახალქალაქის "	8.141,7
ახალციხის "	7.376,2
ბაშკიჩეთის "	4.656,3
ბოგდანოვკის "	4.666,3
ბორჩალოს "	5.762,1
ბორჯომის "	5.541,0
გეგეჭკორის "	6.147,3
გორის "	11.614,2
გურჯაანის "	6.468,1
ღუშეთის "	6.689,0
ვანის "	4.752,2
შემო-სვანეთის "	3.953,6



(ათას მანეთობით) საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონის რაიონი	
ზესტაფონის	7.041,3
ზუგდიდის	9.154,3
თბილისის	5.823,6
თეთრი წყაროს	5.288,5
თელავის	9.887,4
თიანეთის	2.786,7
კასპის	6.184,7
ლაგოდეხის	6.142,1
ლანჩხუთის	5.343,4
ლუქსემბურგის	4.260,8
მაიაკოვსკის	4.179,3
მახარაძის	10.664,9
მცხეთის	4.202,2
ონის	5.590,3
ორჯონიკიძის	4.756,0
საგარეჯოს	4.185,6
სამტრედიის	6.580,0
საჩხერის	5.412,1
სიღნაღის	5.989,4
ტყიბულის	4.706,3
ქარელის	4.421,6
ქვემო-სვანეთის	2.597,6
ქუთაისის	3.987,4
ყაზბეგის	2.342,4
ყარაიის	2.084,4
ყვარლის	4.224,9
ჩოხატაურის	5.304,4
ჩხარის	3.356,6
ჩხოროწყუს	3.840,6
ცაგერის	4.616,1
ცხაკაიას	6.668,6
წალენჯიხის	3.873,6
წალკის	5.316,5
წითელწყაროს	3.630,5
წულუკიძის	5.168,7
წყალტუბოს	2.523,8
კიათურის	4.043,3
ხაშურის	6.837,5
ხობის	3.875,1



6. დაწესდეს 1941 წლისათვის სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხების გადაცემა ავტონომიური სს რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების ბიუჯეტებში შემდეგი რაოდენობით:

ა) მუშა-მოსამსახურეთა შორის და ქალაქის სხვა მოსახლეობაში რეალიზებული სახელმწიფო სესხის თანხისა—15%; კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის რეალიზებული სესხის თანხისა—90%;

ბ) საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის ქალაქის იმ მოსახლეობის გამოსაღებისა, რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება—25%;

გ) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების შემოსავლისა—15%;

დ) კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადისა და საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის სოფლად გამოსაღების შემოსული თანხებისა—100%;

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ბრუნვის გადასახადის ანარიცხების იმ თანხების შესაბამისად, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ, დააწესოს ამ გადასახადის ანარიცხების პროცენტები თვითეული ავტონომიური რესპუბლიკისა, ავტონომიური ოლქისა, თვითეული რაიონისა და ქალაქისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მაზარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.

კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-13, 19, 50, 55, 56 და 107 მუხლების ცვლილებისა და დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. მოლდავეთის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნასთან და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-13 მუხლი გამოხატოს შემდეგნაირად.

„მუხლი 13. ეკონომიური და პოლიტიკური ხაზით, ისე როგორც თავდაცვის ხაზით ურთიერთი დახმარების განსახორციელებლად საქართველოს საბ-

ჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ნებაყოფლობით გაერთიანდა თანასწორ უფლებიან საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებთან: რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, ყირგიზეთის სსრ, კარგელიაფინეთის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ, ესტონეთის სსრ-თან საკავშირო სახელმწიფოში—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში.

ამისდამიხედვით, საქართველოს სსრ უზრუნველყოფის სსრ კავშირისათვის, მისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ უფლებებს.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფარგლებს გარეშე საქართველოს სსრ ანხორციელებს სახელმწიფო ძალაუფლებას დამოუკიდებლად და ინარჩუნებს სრულიად თავის სუვერენულ უფლებებს“.

2. დამტკიცდეს ჭიათურის რაიონიდან ქალაქ ჭიათურის, როგორც დამოუკიდებელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის გამოყოფა და რაიონებში არშემავალ ქალაქებზე მიკუთვნება და აღბულაღის რაიონის თეთრი წყაროს რაიონად გადაარქმევა.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მე-19 და 107 მუხლები გამოიხატოს შემდეგნაირად:

„**მუხლი 19.** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან; აბაშის, ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის; ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის; ბოვდანოვკის, ბორჩალოს, ბორჯომის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ვანის, ზემო-სვანეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თბილისის, თეთრი წყაროს, თელავის, თიანეთის, კასპის, ლგოდების, ლანჩხუთის, ლუქსემბურგის, მაიაკოვსკის, მახარაძის, მცხეთის, ონის, ორჯონიკიძის, სავარეჯოს, სამტრედიის, საჩხერის, სიღნაღის, ტყიბულის, ქარელის, ქვემო-სვანეთის, ქუთაისის, ყაზბეგის, ყარაის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხარის, ჩხოროწყუს, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წალკის, წითელწყაროს, წულუკიძის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხაშურის, ხობის რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„**მუხლი 107.** ქალაქ თბილისის, ქუთაისის, ფოთისა და ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების განყოფილებანი თავიანთ მოქმედებაში ექვემდებარებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ სათანადო სახალხო კომისარიატს“.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის საკავშირო-



რესპუბლიკური სახალხო კომისარიატისა და წყალთა მეურნეობის რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნა და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის ორ სახალხო კომისარიატად გაყოფა: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად და საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად.

ამის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50, 55 და 56 მუხლები გამოიხატოს შემდეგნაირად:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ჰქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:
 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე;
 საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე;
 საქართველოს სსრ სახალხო კომისარები:

- კვების მრეწველობისა;
- ხორციისა და რძის მრეწველობისა;
- მსუბუქი მრეწველობისა;
- საფეიქრო მრეწველობისა;
- სატყუო მრეწველობისა;
- მიწათმოქმედებისა;

მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;

- ფინანსთა;
- ვაჭრობისა;
- შინაგან საქმეთა;
- სახელმწიფო უშიშროებისა;
- იუსტიციისა;
- ჯანმრთელობის დაცვისა;
- სახელმწიფო კონტროლისა;
- განათლებისა;

- ადგილობრივი მრეწველობისა;
- წყალთა მეურნეობისა;
- კომუნალური მეურნეობისა;
- საავტომობილო ტრანსპორტისა;
- სოციალური უზრუნველყოფისა;

ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი;
 საშენ მისალათა მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი;
 საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატების რწმუნებულნი“.

„მუხლი 55. საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები არიან სახალხო კომისარიატები:



- კვების მრეწველობისა;
- ხორცისა და რძის მრეწველობისა;
- მსუბუქი მრეწველობისა;
- საფეიქრო მრეწველობისა;
- სატყეო მრეწველობისა;
- მიწათმოქმედებისა;
- მარცვლეულისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებისა;
- ფინანსთა;
- ვაჭრობისა;
- შინაგან საქმეთა;
- სახელმწიფო უშიშროებისა;
- იუსტიციისა;
- ჯანმრთელობის დაცვისა;
- სახელმწიფო კონტროლისა“.

„მუხლი 56. საქართველოს სსრ რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები არიან სახალხო კომისარიატები:

- განათლებისა;
- ადგილობრივი მრეწველობისა;
- წყალთა მეურნეობისა;
- კომუნალური მეურნეობისა;
- საავტომობილო ტრანსპორტისა;
- სოციალური უზრუნველყოფისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

ა) 1940 წ. 16 აგვისტოსი—„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 75 და 177 მუხლების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ“,



ბ) 1940 წ. 30 აგვისტოსი— „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 143² მუხლის ცვლილების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.
1941 წ. 10 აპრილი.

„საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის შეცვლისა და XXVI თავის მე-3 კარის (მუხ. 366—371) გაუქმების თაობაზე“
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წ. 16 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის შეცვლისა და XXVI თავის მე-3 კარის (მუხ. 366—371) გაუქმების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.
1941 წ. 10 აპრილი.

„საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის ცვლილების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 29 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ზოგიერთი მუხლის ცვლილების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.
1941 წ. 10 აპრილი.



**საქართველოს სსრ სახალხო კომისრების დანიშვნის თაობაზე საქართველოს
სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების
შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად — ჯაში მაკარი ივანეს-ძე;

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად — მაქავარიანი სიმონ ნიკოლოზის-ძე;

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომისრად — ზამბახიძე გრიგოლ ნიკიფორეს-ძე;

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად — ქაქუჩია ვარლამ ალექსის-ძე;

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრად — რაფაეა ავქსენტი ნარიკის-ძე;

სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულად საქართველოს სსრ-ში — კეცხოველი ზაქარია ნიკოლოზის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ
სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრის მ. ი. ჯაშის დანიშვნის
თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბრძანებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი აშხ. ჯაში მაკარი ივანეს-ძე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.



ამხ. მ. ი. ჯაშის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ჯაში მაკარი ივანეს-ძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან—მისი საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისრად და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.

ამხ. ი. ვ. ტიულენევის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ტიულენევი ივანე ვლადიმერის-ძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან—მისი საქართველოს სსრ გარეთ სამუშაოზე გადაყვანის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.

ამხ. ვ. დ. ბუჯიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

ამხ. ბუჯიაშვილი ვასილ დიმიტრის-ძე არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.



**ამხ. ა. ი. ჯანელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

ამხ. ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის-ძე არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.

**ამხ. ი. ა. მოსაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის წევრად არჩევის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

ამხ. მოსაშვილი ილია ონისიმეს-ძე არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი სახამართლოს წევრთა
მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სახამართლოს წევრობისაგან:

1. დევდარიანი ვლადიმერ სერგის-ძე,
2. ზურაბოვ არუთინ მელქოს-ძე,
3. თევზაძე ვასილ იოსების-ძე,
4. თოდუა ფილიპე სტეფანეს ძე,
5. იმერლიშვილი ილია ზაქარიას-ძე,
6. მეუნარგია პეტრე პავლეს-ძე,



7. ნემსიწვერიძე ალექსანდრა ვასილის ასული,
8. სოსელია ნინო მაქსიმეს ასული,
9. ცქვიტარია მელქისედეკ ბესარიონის-ძე,
10. ჭყონია კალისტრატე მელიტონის-ძე,
11. ჯაფარიძე ტოსია მიხეილის ასული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:
არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად:

1. ბოკუჩავა ნიკოლოზ იაკობის-ძე,
2. გეჯაძე ვლადიმერ იოსების-ძე,
3. გიორგაძე დავით ილიას-ძე,
4. კალმახელიძე ლუკა ივანეს-ძე,
5. მანჯგალაძე ნინო ივანეს ასული,
6. პაპასკირი ეფრემ სისოს-ძე,
7. ფხაკაძე ანა ფილიპეს ასული,
8. შენგელია ნესტორ ონისიმეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულების დამატებით არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ადგენს:
დამატებით არჩეულ იქნან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულებად:

3863

1. აბესაძე გიორგი ივლიანეს-ძე,
2. აბესაძე ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე,
3. ავალიანი ჭასილ გიორგის-ძე,
4. აკიმენკო ბორისი ვლადიმერის-ძე,
5. ალიბეგაშვილი სტეფანე ივანეს-ძე,
6. ამირჯანოვი სუმბათ მარტიროსის-ძე,
7. არუთინოვი ალექსანდრე გრიგოლის-ძე,
8. ასათიანი ნინო კონსტანტინეს-ასული,
9. ასლამაზიანი ზაქარია არკადის-ძე,
10. ბალაბანოვი ალექსანდრე გრიგოლის-ძე,
11. ბალავაძე ნადეჟდა ლუარსაბის-ასული,
12. ბარათელია არტემ სტეფანეს-ძე,
13. ბაღდასაროვი ბაღდასარ ხაჩატურის-ძე,
14. ბერიძე შალვა გრიგოლის-ძე,
15. ბრეგვაძე ვიქტორ ოქროპირის-ძე,
16. ბულაძე ივანე მალაქიას-ძე,
17. გამცემლიძე თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე,
18. გაფრინდაშვილი თინათინ ალექსის-ასული,
19. გეგეშიძე დიანოზ ლეონტის-ძე,
20. გველესიანი ექვთიმე სევესტის-ძე,
21. გიორგობიანი ალექსანდრე სერგის-ძე,
22. გოჩიტაშვილი დავით თედორეს-ძე,
23. დაბახიშვილი ანდრია აბრამის-ძე,
24. დავითაია ალექსანდრა ანდრიას-ასული,
25. დოხიკიანი ალექსანდრე ამბარცუმის-ძე,
26. დუნდუა სერგი ნიკოლოზის-ძე,
27. ედიბერიძე ანნა ფრიდრიხის-ასული:
28. ელოშვილი გრიგოლ გიორგის-ძე,
29. ემელიანოვი პეტრე დიმიტრის-ძე,
30. ზაქაიძე პავლე შიოს-ძე,
31. ზაქარიაძე არკადი ანტონის-ძე;
32. ზიბინი ალექსი ევგენის-ძე,
33. ზუკაკიშვილი იოსებ ევგენის-ძე,
34. თევდორაშვილი ალექსანდრე ბაგრატის-ძე,
35. თელია ავთანდილ გიორგის-ძე,
36. თელია მარგარიტა ერისტოს-ასული,
37. თოდაძე ალექსანდრე ზაქარიას-ძე,
38. ისაევი მიხეილ არკადის-ძე,
39. კაკუტია იაკიმე ალექსის-ძე,
40. კალანდია სევერიანე გიორგის-ძე.



41. კაციტაძე ილარიონ სპირიდონის-ძე,
42. კაციტაძე ლარისა მიხეილის-ასული,
43. კეკელია კალიმბერი ათანასეს-ძე,
44. კეროპიანი ერვანდი სარქისის-ძე,
45. კვერნაძე ქეთევან გიორგის-ასული,
46. კვიციანი ესტატე ანტონის-ძე,
47. კვირიკაძე ალექსანდრე ტარასის-ძე,
48. კოდუა კლიმენტი ბეგლარის-ძე,
49. კოხრეიძე ალექსანდრე სარდიონის-ძე,
50. კოხრეიძე კონსტანტინე ნესტორის-ძე,
51. კუპრაძე შალვა ირაკლის-ძე,
52. კურტანიძე თადეოზ არტევანის-ძე,
53. ლაბაძე ბაგრატ არსენის-ძე,
54. ლუხუტაშვილი თამარ პავლეს-ასული,
55. მამამედოვი მეხტი ისმაილ ოღლი,
56. მამაჯანოვი გიორგი გრიგოლის-ძე,
57. მამულაშვილი ვასილ სოლომონის-ძე,
58. მარკოსიანი ვაჰან თევონის-ძე,
59. მახაჩაშვილი მარიამ ანტონის-ასული,
60. მიხანაშვილი ვასილ წყალოზის-ძე,
61. მიგინეიშვილი ვლადიმერ პეტრეს-ძე,
62. მოდებაძე ბეგლარ ესტატეს-ძე,
63. მოისწრაფიშვილი კარლო იოსების-ძე,
64. მუჯირი ნიკოლოზ ალექსის-ძე,
65. შშვენიერაძე ნიკოლოზ ივანეს-ძე,
66. ნამჭევაძე თამარ ილიას-ასული,
67. ნიკიფი იასონ პავლეს-ძე,
68. ოზგაიძე პავლე მოსეს-ძე,
69. ონიანი ბარამ დიმიტრის-ძე,
70. პირტაზია აკაკი ონისიმეს-ძე,
71. რაზმაძე სოლომონ პეტრეს-ძე,
72. რატიანი ელენე ბეგლარის-ასული,
73. სილაგაძე სერგი ამბროსის-ძე,
74. სიმსივე იაკობ არქიფოს-ძე,
75. სინატაშვილი შალვა ფარნაოზის-ძე,
76. სიჭინავა გრიგოლ ონისიმეს-ძე,
77. სუქნიძე დავით სიმონის-ძე,
78. სუხიაშვილი ნიკოლოზ იოსების-ძე,
79. ტეფნაძე გრიგოლ ალექსის-ძე,
80. ტყეშელაშვილი შალვა იასონის-ძე,

81. ფეიქრიშვილი გრიგოლ დავითის-ძე,
82. ფერაძე გიორგი ილიას-ძე,
83. ქვირია ლევან მიხეილის-ძე,
84. ქვლივიძე თამარ ნიკოლოზის-ასული,
85. ქრისტესიაშვილი ივანე ალექსანდრეს-ძე,
86. ლოლობერიძე ნადეჟდა მელქისედექის-ასული,
87. ლურწყია არონი დიმიტრის-ძე.
88. შავფვალიშვილი ეფემია პეტრეს-ასული,
89. შიმშირიანი ივანე გრიგოლის-ძე,
90. შონია ვასილ თედორეს-ძე,
91. ჩალიძე თამარ მაქსიმეს-ასული,
92. ჩიკვილაძე სერგი დავითის-ძე,
93. ჩიტაია სპირიდონ საბას-ძე,
94. ჩიქოვანი ვასილ ერემიას-ძე,
95. ჩხიკვაძე გიორგი მემნოსის-ძე,
96. ჩხიკვაძე თამარ ნიკოლოზის-ასული,
97. ცანავა გრიგოლ დიმიტრის-ძე,
98. ცინცაძე სეფე ალექსანდრეს-ძე,
99. ცოტაძე იულია კირილეს-ასული,
100. წაქაძე კონსტანტინე ეზეკიას-ძე,
101. ჭელიძე ვლადიმერ პავლეს-ძე,
102. ხალილოვი სადი რაჰიმ ოღლი,
103. ხარაზაშვილი მიხეილ ილიას-ძე,
104. ხეზოიან ვარსენიკ გაბრიელის ასული,
105. ხიზაძე გიორგი ილარიონის-ძე,
106. ხოქოლავა დავით ექვთიმეს-ძე,
107. ხურციძე აბესალომ ლეონტის-ძე,
108. ხურციძე ალექსანდრე მალაქიას-ძე,
109. ხუტილაშვილი ზაქარია გივას-ძე,
110. ჯანიაშვილი ვასილ ივანეს-ძე,
111. ჯანიაშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი.

1941 წ. 10 აპრილი.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი

**ბრძანებულება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ქ. თბილისის 26 კომისიის
სახ. № 121 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის
დამტკიცების შესახებ**

„სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების მე-42 მუხლისა და თბილისის 26 კომისიის სახელობის № 121 საარჩევნო ოლქიდან ეროვნებათა საბჭოს დებუტატის არჩევნების დღის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 7 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე დამტკიცდეს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის 26 კომისიის სახელობის № 121 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელების საზოგადოებათა შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ—ვასილ ვლადიმერის-ძე სიხარულიძე—ქ. თბილისის 26 კომისრ. სახელ. რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ—რამაზან ფარხალის-ძე შიხალიევი—ბორჩალოს რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი—გიორგი ილიას-ძე მღებრიშვილი—ლ. პ. ბერიას სახ. ფეხსაცმელების მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან;

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებად:

ერვანდ ვასილის-ძე ბადალიანი—ბორჩალოს რაიონის, დაბა შაუმიანის კოლმეურნეობის „ლენინავანდის“ წევრებისაგან;

ზეიარ-ზადე გეხარ—ბორჩალოს რაიონის, სოფ. ბაიდარის კოლმეურნეობის „კრმზიპამუხჩის“ წევრებისაგან;

ლევ სერგის-ძე პეტროსიანი—საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ქ. თბილისის 26 კომისრ. რაიონული ორგანიზაციისაგან;

ნიკოლოზ იაკობის-ძე გერმისაშვილი—ქ. თბილისის მოლოტოვის რაიონის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისაგან;

ივანე ნესტორის-ძე მიქაბერიძე—ბორჩალოს რაიონის მედსანშრომის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან;

პეტრე ალექსის-ძე იაშინი— N საგაუბიციო-საარტილერიო პოლკის მეთაურებისა, პოლიტმუშაკებისა და წითელარმიელებისაგან;

ლუქვეცი ანდრია გაბრიელის-ძე—შინსახკომის ჯარების N პოლკის მეთაურებისა, პოლიტმუშაკებისა და წითელარმიელებისაგან;



ბიქტორ ივანეს-ძე ნუცუბიძე—თბილისის 26 კომისრ. სახელ. რაიონის
ზეთსახდელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკე-
ბისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი,
1941 წ. 1 თებერვალს.

**ბრძანებულება საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სახალხო კომი-
სარიატის შექმნის შესახებ.**

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამუშაოების ხელმძღვანელობის
ვაუმჯობესების მიზნით, შეიქმნას საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სა-
ხალხო კომისარიატი, რომელიც დაექვემდებაროს საქართველოს სსრ სახალხო
კომისართა საბჭოს და სსრკ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი,
1941 წ. 8 თებერვალს.

**ბრძანებულება აშხ. გ. ნ. ზამბახიძის საქართველოს სსრ წყალთა მეურ-
ნეობის სახალხო კომისარად დანიშვნის შესახებ.**

დაინიშნოს აშხ. გრიგოლ ნიკიფორეს-ძე ზამბახიძე საქართველოს სსრ
წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი,
1941 წ. 8 თებერვალს.

**ბრძანებულება საქართველოს სსრ 20 წლისთავის აღსანიშნავად საქარ-
თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო მე-4 სესიის მოწვევის შესახებ.**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 20 წლისთავის აღ-
სანიშნავად მოწვეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო
მე-4 სესია 1941 წ. 24 თებერვალს ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი.

თბილისი,
1941 წ. 11 თებერვალს.



ბრძანებულება საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მოწინავე მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის XX წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მიღწეული წარმატებისათვის:

1. მიენიჭოთ საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება:

1. გედევანიშვილს გიორგი კონსტანტინეს-ძეს, პროფესორს, საქართველოს ს. მ. კიროვის სახ. ინდუსტრიული ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

2. გვარამაძეს ნიკოლოზ ლევანის-ძეს, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორს.

3. გნედოვსკის ვასილ ივანეს-ძეს, პროფესორს, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

4. დიდებულიძეს ალექსანდრე იოსების-ძეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის ს. მ. კიროვის სახ. ინდუსტრიული ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

5. ზავრიევს კირიაკე სამსონის-ძეს, აკადემიკოსს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, ორდენოსანს, შრომის გმირს, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის პროფესორს.

6. მუხაძეს გიორგი მიხეილის-ძეს, პროფესორს, საქართველოს ს. მ. კიროვის სახ. ინდუსტრიული ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანსა და კათედრის გამგეს.

7. წულუკიძეს გრიგოლ ანტონის-ძეს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ს. მ. კიროვის სახ. ინდუსტრიული ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

2. მიენიჭოთ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება:

1. ალადაშვილს ალექსანდრე სტეფანეს-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკის გამგეს.

2. ასპისოვს ნიკოლოზ მიხეილის-ძეს, მედიცინის დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

3. ბენაშვილს ანდრია მიხეილის-ძეს, პროფესორს, საქართველოს ს. მ. კიროვის სახ. ინდუსტრიული ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

4. გებტმანს გიორგი ნიკოლოზის-ძეს, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორს, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს.

5. ერისთავს კონსტანტინე დავითის-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ორდენოსანს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკის გამგეს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს.



6. კანდელაკს სიმონ პლატონის-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

7. მაქავარიანს ალექსანდრე გიორგის-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორს.

8. მახვილაძეს ნიკოლოზ ივანეს-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

9. მელიქსეტ-ბექს ლეონ მელიქსეტის-ძეს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.

10. მოსევილს ვარლამ პავლეს-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

11. მუხაძეს გრიგოლ მიხეილის-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკის გამგეს.

12. ნათაძეს გრიგოლ იასონის-ძეს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.

13. ნიკოლაძეს რუსუდან ნიკოლოზის ასულს, პროფესორს, საქართველოს ს. მ. კიროვის სახ. ინდუსტრიული ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

14. ჟღენტს ვლადიმერ ყაფლანის-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

15. სობესტიანსკის ედმუნდ მიხეილის-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, დედათა და ბავშვთა დაცვის ინსტიტუტის დირექტორს.

16. სოსნოვსკის დიმიტრი ივანეს-ძეს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

17. უგრელიძეს მარიამ ქრისტეფორეს ასულს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

18. ქუთათელაძეს იოველ გრიგოლის-ძეს, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტის დირექტორს.

19. ლამბარაშვილს გაბრიელ გრიგოლის-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკის გამგეს.

20. ყიფშიძეს ნიკოლოზ ანდრის-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ორდენოსანს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

21. წულუკიძეს ალექსანდრე პეტრეს-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს,



ტორს, პროფესორს, ორდენოსანს, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

22. ხმალადეს ალექსანდრე გიორგის-ძეს, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

23. ჯავახიშვილს ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.

3. მიენიჭოთ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება:

1. ალიხანიანს ისაკ სიმონის-ძეს, თბილისის სახელმწიფო სომხური დრამატიული თეატრის მსახიობს.

2. ანდლულადეს დავით იასონის-ძეს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

3. ბეროიანს არტემ კონოს-ძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის სახელმწიფო სომხური დრამატიული თეატრის მსახიობს.

4. გვარამაძეს ელენე ლევანის ასულს, ორდენოსანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

5. ვაჩნაძეს ნატალია გიორგის ასულს, ორდენოსანს, კინო-მსახიობს.

6. ვრონსკის ევგენი ალექსის-ძეს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს.

7. თაყაიშვილს ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, მოზარდ მყურებელთა ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს.

8. ინაშვილს ალექსანდრე იობის-ძეს, ორდენოსანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

9. მეავიას დიმიტრი გრიგოლის-ძეს, ორდენოსანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

10. ნინიძეს ვიქტორ ათანასეს-ძეს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სანიტარული კულტურის თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

11. სოხაძეს ეკატერინე ტარასის ასულს, ორდენოსანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

12. ფრანგიშვილს პავლე იაკობის-ძეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, გორის სახელმწიფო თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.



13. ქუმსიაშვილს ნიკოლოზ გიორგის-ძეს, ორდენოსანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

14. შულგინას ოლა ალექსანდრეს ასულს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს.

15. ჯავახიშვილს ნატალია გრიგოლის ასულს, ორდენოსანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

4. მიენიქოთ საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება:

1. აბაკელიას თამარ გრიგოლის ასულს, მხატვარს, საქართველოს სამხატვრო აკადემიის მასწავლებელს.

2. აზმაიფარაშვილს შალვა ილიას-ძეს, კომპოზიტორს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის დირიჟორს.

3. ბალანჩივაძეს ანდრია მელიტონის-ძეს კომპოზიტორს, მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.

4. გველესიანს ალექსანდრე იოსების-ძეს, თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს.

5. გოკიელს ივანე რაფიელის-ძეს, კომპოზიტორს.

6. გოძიაშვილს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, ფოთის თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

7. გუდიაშვილს ვლადიმერ დავითის-ძეს, მხატვარს.

8. დოლიძეს სიმონ ბესარიონის-ძეს, კინორეჟისორს.

9. ვაისერმანს კონსტანტინე ნიკოლოზის-ძეს, თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის დირექტორის მოადგილეს.

10. ვეფხვაძეს ივანე ალექსის-ძეს, მხატვარს.

11. ვირსალაძეს ანატასია დავითის ასულს, პროფესორს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგეს.

12. თაქთაქიშვილს შალვა მიხეილის-ძეს, კომპოზიტორს.

13. თოიძეს მოსე ივანეს-ძეს, მხატვარს, ორდენოსანს.

14. თულაშვილს ანა ივანეს ასულს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს.

15. კავსაძეს მიხეილ ლონგინოზის-ძეს, ქართლ-კახური გუნდის ხელმძღვანელს.

16. კაკაბაძეს სილოვან იაკიმეს-ძეს, დოცენტს, საქართველოს სამხატვრო აკადემიის დირექტორსა და მასწავლებელს.

17. კაპანაკიანს სტეფანე გრიგოლის-ძეს, თბილისის მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრის მთავარ რეჟისორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.



18. კილაძეს გრიგოლ ბართლომეს-ძეს, ორდენოსანს, კომპოზიტორს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორსა და მასწავლებელს.
19. კუშიტაშვილს ვასილ პავლეს-ძეს, მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის რეჟისორ-დამდგმელს.
20. ლალიძეს გრიგოლ მიხეილის-ძეს, ლანჩხუთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს.
21. მიქელაძეს გიორგი ილიას-ძეს, თოჯინებისა და ლანდების ქართული თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.
22. მშველიძეს შალვა მიხეილის-ძეს, კომპოზიტორს.
23. რადოლინს თეოდორ ვასილის-ძეს, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობს.
24. როსებას (ბალალოშვილს) გიორგი როსების-ძეს, თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს.
25. რუსლანოვს მიხეილ რომანოზის-ძეს, თბილისის მოზარდ მაცურებელთა რუსული თეატრის დირექტორსა და მსახიობს.
26. ტაღეს მიხეილ ივანეს-ძეს, თბილისის სახელმწიფო ცირკის დირექტორის მოადგილეს.
27. ფალიაშვილს პოლიკარპე პეტრეს-ძეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის გუნდის ხელმძღვანელს.
28. ფარცხალაძეს ალექსი ალექსის-ძეს, ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორს.
29. ფოცხვერაშვილს ალექსანდრა მელიტონის ასულს, მეჩონგურეთა სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელს.
30. ქიქოძეს ელენე გრიგოლის ასულს, თბილისის 1-ლი მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელს.
31. ციმაკურიძეს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს, მხატვარს.
32. ჭელიძეს სერგი ფილიპეს-ძეს, აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.
33. ჭიაურელს მიხეილ ედიშერის-ძეს, კინორეჟისორს, ორდენოსანს.
5. მი ე ნ ი ქო თ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ და მ ს ა ხ უ რ ე ბ უ ლ ი ა რ ტ ი ს ტ ი ს წ ო დ ე ბ ა :
1. ალექსი-მესხიშვილს ნინო სარდიონის ასულს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
2. ამირანაშვილს პეტრე ვარლამის-ძეს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
3. ბარხუდაროვს გრიგოლ ვასილის-ძე, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.



4. ბაუერს მარიამ ბენიამინის ასულს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
5. ბოგოლუბოვას ელენე ლეონიდეს ასულს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
6. გამრეკელს დავით ალექსანდრეს-ძეს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
7. გოსტენინას ელისაბედ ანდრიას ასულს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
8. ელიოზიშვილს ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
9. ვენაძეს გრიგოლ იობის-ძეს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
10. თავიგეას რეიზან ლამპარის ასულს, თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული დრამატიული თეატრის მსახიობს.
11. თვალაშვილს თამარ ნიკოლოზის ასულს, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობს.
12. თუშიშვილს თამარ იაგორის ასულს, ორდენოსანს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
13. ივერიელ-მატარაძეს ალექსანდრა ფილიპეს ასულს, გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
14. კასლანძიას ლევარსან შარდინის-ძეს, აფხაზეთის სახელმწიფო დრამის მსახიობს.
15. კუპრაშვილს ნინო ნიკოლოზის ასულს, მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობს.
16. ლიტვინენკოს ვასილ კონსტანტინეს-ძეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
17. ლოლუას არგეტა ალექსის ასულს, ლანჩხუთის თეატრის მსახიობს.
18. მოჯორიანს მარიამ პეტრეს ასულს, თბილისის სახელმწიფო სომხური დრამატიული თეატრის მსახიობს.
19. ნაკაშიძეს მერი ნაზარის ასულს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
20. სარჩიმელიძეს გიორგი ესტატეს-ძეს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
21. ქილარჯიშვილს მარგალიტა მიხეილის ასულს, ბათუმის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.
22. ქურხულს გიორგი ალექსის-ძეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობსა და რეჟისორს.



23. ყვარელაშვილს მიხეილ დავითის-ძეს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

24. შარატა-დოლიძეს თაის დემიანეს ასულს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

25. შარაშიძეს ვასილ ეგნატეს-ძეს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

26. ჩიხლაძეს მიხეილ სერაპიონის-ძეს, რუსთაველის სახ. ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

27. ცომაიას ნადეჟდა ათანასეს ასულს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

28. ხარაძეს ნადეჟდა ვასილის ასულს, ორდენოსანს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენის სახელმწიფო თეატრის მსახიობს.

29. ხურციძეს სამსონ იასეს-ძეს, მახარაძის თეატრის მსახიობს.

6. მიენიქოთ საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება:

1. აბაევას მარიამ კონსტანტინეს ასულს, ყაზბეგის რაიონის კობის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

2. აბესაძეს ალექსანდრა მიხეილის ასულს, თბილისის რკინიგზის მე-6 სკოლის მასწავლებელს.

3. აღამაშვილს მარიამ ადამის ასულს, თბილისის რკინიგზის მე-3 სკოლის მასწავლებელს.

4. აკიმოვას ნეონილა პეტრეს ასულს, თბილისის რკინიგზის მე-5 სკოლის მასწავლებელს.

5. ანიშჩუკს ალექსანდრა მიხეილის ასულს, თბილისის რკინიგზის მე-3 სკოლის მასწავლებელს.

6. აპოსტოლოვს ილია აპოსტოლის-ძეს, თეთრი წყაროს საშუალო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს.

7. აღარონიანს ანელა გერასიმეს ასულს, თბილისის მე-80 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

8. ახმეტელაშვილს ელენე იორდანის ასულს, სიღნაღის რაიონის ანაგის საშუალო სკოლის მასწავლებელს.

9. ბარამიძეს ბენედიქტე გიორგის-ძეს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახალხო განათლების განყოფილების გამგის მოადგილეს.



10. ბარამიძეს თამარ აბესალომის ასულს, თბილისის მე-15 საშუალო სკოლის მასწავლებელს.
